საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 24 თებერვალი, 2016 წელი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 05-01/04

ძირითადი საშტატო სტრუქტურით განსაზღვრულ თანამშრომლებზე კვარტალური დანამატის გაცემის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 43-ე მუხლის I პუნქტის „ი" ქვეპუნქტის; „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. ნება დაერთოს ბუღალტერიას 2016 წლის პირველ, მეორე და მესამე კვარტალში უნივერსიტეტის სპეც-ანგარიშზე არსებული რესურსის გამოყენებით გასცეს კვარტალური დანამატი 100 (ასი) ლარის ოდენობით უნივერსიტეტის ძირითადი საშტატო სტრუქტურით განსაზღვრულ იმ თანმშრომლებზე, რომელთა თვიური სახელფასო განაკვეთი შეადგენს 500 (ხუთას) ლარზე ნაკლებს.

2. დანამატი არ გაიცემა იმ თანამშრომლებზე, რომელთაც შეთავსებული აქვთ დამატებით ადმინისტრაციული შტატი ან პედაგოგიური მოღვაწეობა და თვის შრომის ანაზღაურება ჯამში საშუალოდ ტოლია ან/და აღემატება 500 (ხუთასი) ლარს.

3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერი **თ. მეიშვილი**